

**რეგიონული განვითარების შესახებ
ცოდნა და გამოცდილება –
თარგმანების სერია**

**ევოლუციური მიდგომები ადგილობრივი და
რეგიონული განვითარების პოლიტიკის
მიმართ**

რობერტ ჰასინკი და კლაუდია კლერდინგი

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ მომზადებულია სტატიების კრებული: „**რეგიონული განვითარების შესახებ ცოდნა და გამოცდილება - თარგმანების სერია**“.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს **ადგილობრივი და რეგიონული განვითარების სახელმძღვანელოს** (Pike, Rodríguez-Pose and Tomaney, Handbook of Local and Regional Development, London and New yourk: Routlege, 2011) ამონარიდს და თარგმანების სერიის ერთ-ერთი ნაწილია.

თარგმანი: ნათია ნადირაძე
რედაქტირება: ნინო ბექაშვილი
გრაფიკული დიზაინი: რევაზ აფხაზავა

შინაარსი

1.	შესავალი.....	1
2.	ევოლუციური მიმართულება და ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკა.....	2
3.	მოსწავლე-რეგიონები.....	4
4.	რეგიონული ინოვაციური სისტემები.....	5
5.	კლასტერები.....	7
6.	დასკვნა.....	9

1. შესავალი

ადგილობრივ და რეგიონული განვითარების პოლიტიკაზე გავლენას ახდენს პოლიტიკის შესახებ არსებული თეორიული კონცეფციები, რომლებიც, თავის მხრივ განიცდის მეტა-თეორიული პარადიგმებისა და აკადემიური ლიტერატურაში მიმართულებების ცვლილებების გავლენას. ეკონომიკური გეოგრაფიისა და რეგიონული დაგეგმარების შესახებ არსებულ ლიტერატურაში, მაგალითად, შეინიშნება კულტურული, სასწავლო და ურთიერთობითი კურსების ცვლილებები, ყველაზე ახალი კი ევოლუციური ცვლილებაა (Scott 2000), რაც წინამდებარე თავის ძირითად განსახილველ საგანს წარმოადგენს. მისი მიზანია, უპირველეს ყოვლისა, ძირითადი ევოლუციური კონცეფციების (Boschma და Frenken 2007; Martin და Sunley 2006; Boschma და Martin 2009) და ადგილობრივ და რეგიონული განვითარების პოლიტიკასთან მათი შესაბამისობის მიმოხილვა. ინოვაცია, რომელიც სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს, როგორც ზოგადად ცოდნის ეკონომიკაში, ასევე რეგიონალურ დონეზე დიფუზიაზე ორიენტირებული და ინოვაციების მხარდამჭერი პოლიტიკის წყალობით, ადგილობრივი და რეგიონალური განვითარების პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა (Amin 1999; Cooke and Morgan 1998; Asheim *et al.* 2003; Asheim *et al.* 2006b; Fritsch and Stephan 2005; Klaerding *et al.* 2009; Boschma 2008). რეგიონალური დონე ახლა უკვე განიხილება იმ რგოლად, რომელიც ყველაზე დიდ პერსპექტივას გვთავაზობს სწავლასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ასაღორძინებლად მმართველობის შესაბამისი სტრუქტურების შექმნის თვალსაზრისით შემდეგი ოთხი მექანიზმის წყალობით: ცოდნის გავრცელება, თანმდევი სასარგებლო შედეგები, შრომის მობილობა ინტარეგიონლურ დონეზე და ქსელები (Cooke and Morgan 1998; Boschma 2008).

ნაწილობრივ ეროვნულ და სუპრანაციონალურ დონეზე მხარდამჭერი პროგრამებისა და აგრეთვე მძლავრი ინსტიტუციური ბაზის წყალობით, რომელიც ისეთ წარმატებულ ეკონომიკურ რეგიონებს ახასიათებთ, როგორიცაა მაგალითად, სილიკონის დაბლობი ამერიკაში, ბადენ-ვურტემბერგი გერმანიაში და ემილია-რომანა იტალიაში, იდუსტრიალიზებული ქვეყნების ბევრი რეგიონი აარსებს სამეცნიერო და ტექნოპარკებს, ტექნოლოგიურ-ფინანსური დახმარების სქემებს, ინოვაციების განვითარების მხარდამჭერ სააგენტოებს, სათემო კოლეჯებსა და ინდუსტრიების 1980-ის მეორე ნახევრიდან. ამ პოლიტიკის მთავარი მიზანია რეგიონის ენდოგენური პოტენციალის მხარდაჭერა ახალი ტექნოლოგიების გავრცელების წახალისებით. 1990-იანი წლებიდან ამ პოლიტიკაზე გავლენას ახდენდა თეორიული და იდეოლოგიური თვალსაზრისები, როგორიცაა რეგიონალური ინოვაციების სისტემები (Cooke *et al.* 2004), მოსწავლე რეგიონი (Morgan 1997) და კლასტერები (Enright 2003). ეს კონცეფციები ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში შეიქმნა, მაგრამ ბოლო ხანებში ისინი აქტუალურია განვითარებადი და ახლადწარმოქნილი ეკონომიკებისთვისაც, განსაკუთრებით, რეგიონალური ინოვაციების სისტემებთან (Lundvall *et al.* 2006; Cooke *et al.* 2004; Cooke and Memedovic 2003) და კლასტერებთან (Schmitz and Nadvi 1999; Schmitz 2004) მიმართებით. თუმცა, უკანასკნელ ხანებში გაჩნდა გარკვეული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, შესაძლებელია თუ არა წარმატებული ეკონომიკის მქონე რეგიონებისგან მიღებული გაკვეთილებით გაჩნდეს ახალი „სილიკონის მინდვრები“ (Hospers 2006; Hassink and Lagendijk 2001) შექმნა. ამას გარდა, მასშტაბური პრობლემაა ინოვაციების მხარდაჭერის რეგიონალური დონის შედარება ეროვნულ და სუპრაეროვნულ დონეებთან, რომელიც ახლახან კრიტიკულად შეაფასეს (Fromhold-Eisebith 2007; Uyarra 2009). დაბოლოს, უფრო და უფრო ხმამაღლა გაისმის ჩივილი იმის შესახებ, რომ რეგიონალური ინოვაციების პოლიტიკა ზედმეტად სტანდარტიზებულია (Tödtling and Trippl 2005; Visser and Atzema 2008).

წინამდებარე თავში ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ევოლუციური პერსპექტივა დადებითად აისახება ადგილობრივი და რეგიონალური განვითარების პოლიტიკაზე. ამისთვის მოვიშვლიებთ რამდენიმე ძირითად თეორიას, როგორიცაა მაგალითად, ინსტიტუციური დამოკიდებულება, აგრეთვე ჩაკეტილი და გახსნილი პოლიტიკის ნიმუშები. უფრო მეტიც, ევოლუციური პერსპექტივა დადებით გავლენას ახდენს არსებულ კონცეფციებზე, განსაკუთრებით, რეგიონული ინოვაციების სისტემებსა და კლასტერებზე. მეორე ნაწილში პირველად იქნება წარმოდგენილი რამდენიმე ძირითადი ევოლუციური შენიშვნა, ხოლო მესამე ნაწილი ეხება პოლიტიკასთან დაკავშირებულ სამ კონცეფციას, კერძოდ, „მოსწავლე რეგიონს“, რეგიონული

ინოვაციების სისტემებსა და კლასტერებს, რომლებიც ევოლუციური პერსპექტივიდან იქნება განხილული. საბოლოო, მეოთხე თავში კი მოცემულია დასკვნები.

2. ევოლუციური მიმართულება და ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკა

ბოლო პერიოდში ევოლუციური მიმართულება გაჩნდა არა მხოლოდ ეკონომისტ-გეოგრაფების ნამუშევრებში, (Boschma and Frenken 2007; Boschma and Martin 2009; Schamp 2000; Martin and Sunley 2006; Frenken 2007) არამედ, სხვა დისციპლინებშიც, მაგალითად, ეკონომიკაში, დაგეგმარებასა და სოციოლოგიაში (Frenken 2007). ნეოკლასიკური თეორიისგან განსხვავებით, ეს სკოლა სეროზულად უდგება ისტორიასა და გეოგრაფიას, აღიარებს რა კონკრეტულ ადგილებთან დაკავშირებული ელემენტებისა და პროცესების მნიშვნელობას ტექნოლოგიური ევოლუციის ფართო სივრცითი ტენდენციების ასახვად. ევოლუციური ეკონომიკური გეოგრაფია ეხება “იმ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც ეკონომიკური ლანდშაფტი - ეკონომიკური წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სივრცითი ორგანიზაცია, დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციას განიცდის” (Boschma and Martin 2007: 539). ევოლუციური პერსპექტივიდან ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ცნებები: ინსტიტუციური დამოკიდებულება, ჩაკეტილი პოლიტიკა, დამოკიდებულების შექმნა, დაკავშირებული მრავალფეროვნება და კოევილუცია.

ამ კონცეფციების მეშვეობით, შესაძლებელია აიხსნას, თუ რატომ კარგავს ზოგიერთი რეგიონული ეკონომიკა დინამიზს, ხოლო სხვები – ინარჩუნებს. “ინსტიტუციური დამოკიდებულების მქონეა ის პროცესი ან სისტემა, რომლის შედეგადაც განაპირობებს სწორედ ამ პროცესის ან სისტემის საკუთარი ისტორია” (Martin and Sunley 2006: 399). ინსტიტუციური დამოკიდებულებისა და რეგიონული ევოლუციის ირგვლივ მიმდინარე მსჯელობასთან ახლოს დგას ჩაკეტილობის პრობლემა, რომელიც აფერხებს რეგიონული ეკონომიკებისთვის აუცილებელ რეკონსტრუქციის პროცესებს (Martin and Sunley 2006; Grabher 1993; Hassink 2009). გრაბერის (Grabher 1993) აზრით, ამ შეფერხებას ქმნის ჩაკეტილი პოლიტიკის სამი ტიპის ერთობლიობა, რომელიც შეიძლება მოვიხსენიოთ როგორც რეგიონული ჩაკეტილობა. მათგან პირველი – ფუნქციონალური ჩაკეტილობა ეხება კომპანიებს, განსაკუთრებით, კი მსხვილ, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს შორის არსებულ ახლო, იერარქიულ ურთიერთობას, რომელიც გამოორიციხავს მიმწოდებლებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საგარეო ურთიერთობების, კვლევის, განვითარებისა და მარკეტინგის გაფართოების საჭიროებას. მეორე ტიპში, ანუ კოგნიტურ ჩაკეტილობაში მოიაზრება ის მსოფლმხედველობა ან აზროვნება, რომელიც იწვევს სეკულარული ტენდენციების ციკლურ კრიზისებთან აღრევას. მესამე, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებულ კოგნიტურ ჩაკეტილობასთან, გახლავთ პოლიტიკური ჩაკეტილობა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს წარმოების კლასტერში (Grabher 1993). კოგნიტური ჩაკეტილობა წარმოადგენს მჭიდრო ინსტიტუციურ ქსოვილს, რომლის ფუნქციაა არსებული ტრადიციული ინდუსტრიული სტრუქტურების შენარჩუნება, რის შედეგადაც ფერხდება ინდუსტრიული რეკონსტრუქციის პროცესი და ადგილზე არსებული პოტენციალისა და შემოქმედებითობის განვითარება.

ევოლუციური თვალსაზრისი ასევე გვეხმარება სივრცით პერსპექტივაში დავინახოთ და გავაანალიზოთ ახალი ინდუსტრიების აღმოცენების პროცესი. ადგილობრივი შესაძლებლობებისა და ახალი ინდუსტრიული სივრცეების თეორიული კონცეფციები ყურადღებას ამახვილებს ახლად აღმოცენებული ინდუსტრიების ლოკაციურ თავისუფლებაზე, მაშინ როდესაც დამოკიდებულების ჩამოყალიბება ძირითადად ეხება ინსტიტუციურ დამოკიდებულებებს შორის არსებულ კავშირებს და ნაკლებად - გეოგრაფიულ-ლოკაციურ თავისუფლებას. ეს ცნებები ძალზე რელევანტურია ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკისთვის, რადგან ეხმარება პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს, განსაზღვრონ ის ადგილები, სადაც შეიძლება გაჩნდეს ახალი ინდუსტრიები (Martin and Sunley 2006). უფრო მეტიც, ევოლუციური პერსპექტივა მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა გავიაზროთ დამოკიდებულება

სპეციალიზაციასა და დივერსიფიკაციას, ასევე ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურობას შორის ((Frenken *et al.* 2007; Martin and Sunley 2006; Essletzbichler 2007). ერთი მხრივ, მრავალფეროვნება განიხილება, როგორც რეგიონული ცოდნის გავრცელების წყარო, რომელიც იზომება სექტორებს შორის არსებული დაკავშირებული მრავალფეროვნებით (related variety - ევოლუციური გეოგრაფიული ეკონომიკის კონცეფცია), ხოლო, მეორეს მხრივ - დაუკავშირებელი მრავალფეროვნების შემთხვევაში, მრავალფეროვნება განიხილება, როგორც პორტფოლიო, რომელიც რეგიონს გარე შოკებისგან იცავს. მარტინისა და სანლის (Martin and Sunley 2006: 421) მიხედვით, “არსებობს კომპრომისი ერთი მხრივ, სპეციალიზაციასა და მოკლევადიან რეგიონული ზრდის აფეთქებას შორის, ხოლო მეორე მხრივ, მრავალფეროვნებასა და უწყვეტ რეგიონულ ადაპტაბილურობას შორის”. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონცეფცია, რომელიც ევოლუციური სკოლიდან მომდინარეობს, არის კოევივოლუცია, რომელიც გამოიყენება ადგილობრივი და რეგიონული განვითარების პოლიტიკის შესახებ თეორიულ მსჯელობაში. კოევივოლუციური პერსპექტივიდან რეგიონული ეკონომიკების დინამიზმზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ კომპანიები და ინდუსტრიები, არამედ ინოვაციებზე ორიენტირებული ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკა, ასევე, უფრო ფართოდ რომ შევხედოთ, კომპანიებისა და ინდუსტრიების ინსტიტუციური გარემოც (Nelson 1994; Murmann 2003).

ევოლუციური პერსპექტივიდან დანახული თეორიული კონცეფციები

გარდა ევოლუციური მიდგომის გარკვეული ძირითადი საკითხების რელევანტურობისა, ევოლუციურმა პერსპექტივამ ასევე იქონია გავლენა სხვა კონცეფციებზეც, მათ შორის ტრადიციულზეც, რომლებიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი და რეგიონული ინოვაციური პოლიტიკისთვის. მომდევნო ნაწილში ჩვენ განვიხილავთ იმ კონცეფციებს, რომლებიც ამ თვალსაზრისით ყველაზე რელევანტურად მიიჩნევა (ამ, ეგრეთ წოდებული ტერიტორიული ინოვაციური მოდელების შესახებ ვრცელ მიმოხილვას გვთავაზობენ მულერტი და სეკია (Moulaert and Sekia 2003)).

3. მოსწავლე-რეპიონები

ტერიტორიული ინოვაციის ახლადგანსაზღვრული მოდელებიდან, როგორც ჩანს, მოსწავლე-რეგიონის კონცეფცია ყველაზე მეტად ამახვილებს ყურადღებას რეგიონული ჩაკეტილობის დაძლევისა და პრევენციაზე (Schamp 2000; OECD 2001; Boschma and Lambooy 1999b; Morgan 1997). მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რამდენიმე განმარტება და თვალსაზრისი, მეცნიერების უმეტესობის აზრით, მოსწავლე-რეგიონი წარმოადგენს რეგიონული ინოვაციების სტრატეგიას, რომელშიც ინოვაციებთან დაკავშირებული რეგიონული აქტორების ფართო სპექტრი (მაგალითად, პოლიტიკოსები, პოლისიმიეიკერები, სავაჭრო პალატები, პროფესიული კავშირები, უმაღლესი განათლების ინსტიტუტები, სჯარო კვლევითი დაწესებულებები და კომპანიები) მჭიდროდ, მაგრამ ასევე მოქნილად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ემორჩილებიან “პოლიტიკის პრინციპებს” (OECD 2001). მათ შორისაა:

1. მოწოდებისა და მოთხოვნის ფრთხილი კოორდინაცია კვალიფიციური ინდივიდებისთვის;
2. გაუმჯობესებული ორგანიზაციული სწავლისთვის ისეთი ჩარჩოს შემუშავება, რომელიც არ იქნება ფოკუსირებული მხოლოდ მაღალი ტექნოლოგიების სექტორებზე, არამედ ყველა იმ სექტორზე, რომლებსაც გააჩნია ინოვაციების მაღალ დონეზე განვითარების შესაძლებლობა;
3. რეგიონში არსებული იმ რესურსების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეუძლია ეკონომიკური განვითარების შეფერხება (ჩამკეტები);
4. გარე ფაქტორებით გამოწვეულ ცვლილებებზე პოზიტიური რეაგირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ცვლილებები გულისხმობს სწავლაზე უარის თქმას;
5. მექანიზმების შემუშავება სექტორსა და მმართველობასთან (რეგიონულ, ნაციონალურ და სუპრანაციონალურ დონეზე) პასუხისმგებლობების კოორდინაციის მიზნით;
6. სწავლისა და ინოვაციების ხელშეწყობი სოციალური კაპიტალისა და ნოუჰაუს შესაბამისი ფორმების წახალისებისთვის სტრატეგიების შემუშავება;
7. ინდივიდუალური სწავლა, ინოვაციებისა და შრომის ბაზრის ცვლილებებს შორის ურთიერთობების მუდმივი შეფასება;
8. რეგულაციების, ინდუსტრიებისა და ქსელების მრავალფეროვნების ხელშეწყობა;
9. სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში საზოგადოების ფართო ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფა.

თუმცა, მოსწავლე-რეგიონის ეს მახასიათებლები მხოლოდ მუშაობის მეთოდსა და რეგიონული ეკონომიკის პოლისიმიეიკერების დამოკიდებულებებს აღწერს. ინოვაციაზე მიმართული პოლიტიკის კონკრეტული შინაარსი დამოკიდებულია თითოეული რეგიონის ეკონომიკურ პროფილსა და იქ არსებულ მოთხოვნებზე (Tödtling and Trippl 2005). უფრო მეტიც, ევროკავშირის მიერ განხორციელებული ახალი თაობის რეგიონული პოლიტიკა (Landabaso *et al.* 2001), რომელიც მიზნად ისახავს დაბალგანვითარებული რეგიონების ინოვაციური შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ნაწილობრივ სწორედ ამ კონცეფციას ეფუძნება. თუმცა, ბოლო პერიოდში სულ უფრო ხმამაღლა ისმის კრიტიკა მოსწავლე-რეგიონის კონცეფციასთან დაკავშირებით (Hassink 2007; Cooke 2005), რომელიც ძირითადად ეხება კონცეფციის ბუნდოვანებას, მის ნორმატიულ ბუნებას, სხვა კონცეფციებთან გადაფარვას და მის უხერხულ მდებარეობას ეროვნულ ინოვაციურ სისტემებსა და წარმოების გლობალურ ქსელებს შორის. ინსტიტუციური დამოკიდებულებისა და ჩაკეტილობის პოლიტიკის მიმართ ევოლუციური მიდგომა მნიშვნელოვანი სტიმული აღმოჩნდა მოსწავლე-რეგიონის აღმოცენებისთვის, თუმცა ამავე მიდგომამ ვერ მოახერხა კრიტიკის საგნად ქცეული კონცეფციის გაუმჯობესება და რაფინირება.

4. რეგიონული ინოვაციური სისტემები

რეგიონული ინოვაციური სისტემების საფუძველს (RIS) წარმოადგენს რეგიონული ქსელები და ფორმებსა და ისეთ ორგანიზაციებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება, როგორცაა კვლევითი ინსტიტუტები, ფინანსური მომსახურების პროვაიდერები, ტექნოლოგიების ტრანსფერ-სააგენტოები ან რეგიონული ხელისუფლებები, ასევე ინსტიტუტები, რომლებიც ნორმების, წესების, პროცედურებისა და კონვენციების სახითაა წარმოდგენილი (Cooke *et al.* 1998). რეგიონული ინოვაციური სისტემების სისტემური განზომილება სამი სუბსისტემის კომბინაციის შედეგია (Cooke *et al.* 1997), რომელიც რეგიონის გაზრდილ ინოვაციური შესაძლებლობების სინერგიულ ეფექტებს ქმნის (Edquist 2001). პირველი სუბსისტემა ფინანსება, რომელშიც იგულისხმება რეგიონული ბიუჯეტების ხელმისაწვდომობა რეგიონული ინფრასტრუქტურის კონტროლისა და მართვის მიზნით. რეგიონების კულტურული კონტექსტი ქმნის მეორე სუბსისტემას და განსაზღვრავს იმ გარემოს, რომელშიც ჩაშენებულია ცოდნის ქსელები. მესამე სუბსისტემას ინტერაქციული სწავლა წარმოადგენს, რომელიც რეგიონული ინოვაციური სისტემის ქვაკუთხედი, რადგან მისი მეშვეობით იქმნება ახალი ცოდნა. განსაზღვრავს რა მეტ-ნაკლებად ხელშემწყობ პირობებს ხსენებული სუბსისტემებისთვის, რეგიონული ინოვაციების მიდგომა განსაკუთრებით რელევანტური ხდება რეგიონული ინოვაციის პოლიტიკისთვის და ევროკავშირის მიერ წამოწყებული რამდენიმე პროგრამა სწორედ ამ იდეას ეფუძნება (Landabaso *et al.* 2001).

კუკი და სხვები (Cooke *et al.* 1998) ამტკიცებენ, რომ რეგიონული პოლიტიკის ინტერვენციები ყველაზე ეფექტურად მოქმედებს, როდესაც რეგიონებს აქვთ ფართო ფინანსური ავტონომია, პოლიტიკური კომპეტენციები, ცოდნის მჭიდროდ დაკავშირებული ქსელები და კონტროლი ინფრასტრუქტურაზე, როგორც მაგალითად, ბადენ-ვურტემბერგის რეგიონს. თუმცა, ამავე დროს, არ არსებობს საუკეთესო პრაქტიკა ან მზა რეცეპტი რეგიონული ინოვაციის სისტემის ყველა მოდელისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული რეგიონისთვის რეკომენდებულია კონკრეტულად მასზე მორგებული პოლიტიკის შემუშავება (Tödtling and Trippel 2005; Boschma 2008). მაგალითად, “გლობალური” და “დირიჯისტული” რეგიონული ინოვაციის სისტემა, რომლის მაგალითადაც სინგაპური გამოდგება, ნაკლებად ინტეგრირებულია რეგიონულ ქსელებში. სამაგიეროდ, აქ ინოვაციების პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის გადამწყვეტ როლს ეროვნულ და გლობალურ დონეზე არსებული ბიზნესურთიერთობები და მულტინაციონალური კორპორაციები ასრულებს (Cooke 2004).

რეგიონული ინოვაციის სისტემის კონცეფცია ევოლუციურ მიდგომას ორგვარად უკავშირდება (იხილეთ აგრეთვე Syarra 2009; Iammarino 2005): პირველ რიგში, ეს არის დინამიური მიდგომა. სხვადასხვა შემთხვევაზე დაყრდნობით კუკი (2004) აღწერს, თუ როგორ იცვლება ეს მიდგომა დროთა განმავლობაში: მაგალითად, 1995-დან 2005 წლების პერიოდში კატალონია შეიძლება რეგიონული ინოვაციის სისტემის სხვადასხვა ტიპოლოგიაში მოხვდეს. მეორეც, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ იგი ეხება ინსტიტუციური დამოკიდებულების, კოევილუციისა და ჩაკეტილობის ძირითად თემებს.

ინსტიტუციური დამოკიდებულების ცნების იდენტიფიცირება შესაძლებელია რეგიონული ინოვაციის სისტემის ისეთ მთავარ ელემენტებში, როგორცაა რეგიონი და ინოვაცია. ორივე მათგანი დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებას და ამგვარად, კონკრეტულ ტრაექტორიას მიჰყვება. კუკისა და სხვების მოსაზრებით (1997, 1998) რეგიონები მუდმივად ყალიბდება უნიკალური პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური პროცესების წყალობით, რომლებიც ხელს უწყობს კოჰეზიას, ჰომოგენურობას და საერთო რეგიონული ინდენტობის განვითარებას. ისინი წარმოადგენს იმ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც, თავის მხრივ აღიქმება, როგორც კონკრეტული ეკონომიკური პრობლემების მოგვარების მექანიზმების მოძიებისა და არჩევის შედეგი (Cooke *et al.* 1998; Boschma 2008). თუმცა, რეგიონებისა და რეგიონის ინოვაციის სისტემის სივრცითი საზღვრების დადგენისთვის გამოყენებული ემპირიული განსაზღვრებების მრავალფეროვნება ართულებს პოლიტიკასთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული რეკომენდაციის გაცემას (Doloreux and Parto 2005). აგრეთვე, მთელ რიგი ავტორებისა ეჭვქვეშ აყენებს რეგიონული სისტემების ნაგულისხმევ დამოუკიდებლობას ეროვნული დონის გავლენისგან, რომელიც, როგორც ჩანს დომინანტურია (Bathelt and Depner 2003).

გარდა ამისა, მიიჩნევა, რომ ინოვაციები იმთავითვე ინსტიტუციურ დამოკიდებულებას განიცდის, რადგან კონცეპტუალიზებულია როგორც ევოლუციური პროცესები, რომლებსაც ახასიათებს მუდმივი სწავლა და ცოდნის დაგროვება (Cooke *et al.* 1998). ინოვაციები გენერირდება უკუკავშირის ციკლის შედეგად და შესაბამისად, წარსულში დაგროვილ ცოდნას ეფუძნება. აქედან გამომდინარე, რეგიონში ინოვაციების შედეგები და ტექნოლოგიური სტანდარტები სრულად დამოკიდებულია არსებული ცოდნის ტრაექტორიებზე. ინსტიტუციური დამოკიდებულების იდეის გარდა, რეგიონული ინოვაციის სისტემის მიდგომა ყურადღებას ამახვილებს კოევოლუციურ პროცესებზე. კუკი და სხვები (Cooke *et al.* 1998) ამტკიცებენ, რომ არსებობს ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულება ინსტიტუციებს, ორგანიზაციებსა და ფირმებს შორის. ერთი მხრივ მიიჩნევა, რომ ორგანიზაციები და ფირმები იმ ინსტიტუციური კონტექსტის განუყოფელი ნაწილია, რომელიც არეგულირებს ეკონომიკურ ურთიერთობებს. მეორეს მხრივ, ინსტიტუციები არ არის თავისუფალი ორგანიზაციები და ფირმების გაგლენისგან. ეს გაგლენა ორი მიმართულებით ვლინდება: გარდა იმისა, რომ ორგანიზაციები და ფირმები ამტკიცებენ ინსტიტუტებს იმით, რომ ახდენენ დამკვიდრებული ქცევის რეპროდუქციას, მათ ასევე ხელწინააღმდეგაობა იმ ახალი პრაქტიკების შემოღება და დამკვიდრება, რომელიც ცვლის არსებულ ინსტიტუციონალურ კონტექსტს. მრავალი სისტემური ინტერ და ინტრა რეგიონული კავშირების წყალობით, რეგიონული ინოვაციის სისტემებს ახასიათებთ მოქნილობა და ადაპტაციის უნარი. თუმცა, ინსტიტუციები და ორგანიზაციები მაინცდამაინც არ არიან მიდრეკილი ცვლილებებისკენ და სწორედ ამიტომ, ტრანსფორმაცია ხშირად დროში გაწელილი პროცესია და ნელი ტემპებით მიმდინარეობს (Boschma 2008).

ამას კი მნიშვნელოვანი გარდატეხა შეაქვს რეგიონულ განვითარებაში, რადგან ზრდის ჩაკეტილობის საფრთხეს. ამ შემთხვევაში, რეგიონების ინსტიტუციური და ორგანიზაციული მოწყობა უკვე ვეღარ პასუხობს ახალი ბაზრების და ტექნოლოგიების მოთხოვნებს (Boschma and Lambouy 1999a). როგორც ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების კოევოლუცია, ასევე მათთან დაკავშირებული საფრთხილო საკითხები პრობლემატური ხდება რეგიონული ზრდისათვის, რადგან ისინი კიდევ უფრო აძლიერებს დამოკიდებულებას უკვე მოძველებულ ტექნოლოგიებზე. შესაბამისად, რეგიონული ინოვაციის სისტემის მიდგომა ეფექტური ინსტრუმენტია რეგიონული ჩაკეტილობის გასაანალიზებლად, რადგან ისინი წარმოიქმნება ინსტიტუციონალურ, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეებს შორის არსებული სისტემური ურთიერთობებიდან (Cooke *et al.* 1998). სწორედ ამ ურთიერთობების გამო, ჩაკეტილობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების პარალელურად გათვალისწინებული უნდა იქნეს ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ გარემოში მიმდინარე ან მომხდარი ცვლილებები. ტოდტლინგისა და ტრიპლის (Tödtling and Trippel 2005) მოსაზრებით ამგვარი ზომები გულისხმობს ცოდნის ქსელების, მათ შორის ახალი ინდუსტრიებისა და ტექნოლოგიების შექმნას და რეგიონში საგანმანათლებლო და მეცნიერული ინფრასტრუქტურის განახლებას. ბოშმას (Boschma 2008) მტკიცებით კი, ეფექტურია ისეთი ზომები, რომელიც მოიცავს რეგიონის ეკონომიკური ბაზის დივერსიფიცირებასა და გაფართოებას, რათა გაჩნდეს განვითარების ისეთი მიმართულებები, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხოლოდ კონკრეტულ რეგიონსა და სექტორებთან. იმისათვის, რათა ინსტიტუციებმა და ორგანიზაციებმა მიაღწიონ მოქნილობის მნიშვნელოვან ხარისხს, რეგიონული ინოვაციის სისტემის მიდგომამ მსგავსად მოსწავლე-რეგიონის კონცეფციისა, უნდა წაახალისოს ნაკლებად რიგიდული სისტემური ურთიერთობები და კულტურა, რომელიც მხარს უჭერს ღიაობას და ცვლილებებს.

5. კლასტერები

პორტერის მიხედვით (Porter 2000: 16) კლასტერები განისაზღვრება როგორც “ერთიერთდაკავშირებული კომპანიების და მათთან ასოცირებული ინსტიტუტების გეოგრაფიულად ახლოს მდებარე და კონკრეტულ სექტორში მოქმედი ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება საერთო თვისებებით და ავსებს ერთმანეთს”. ბოლო პერიოდში კლასტერი პოლისიმიევიკრების ყურადღების ცენტრში მოექცა და იქცა ინოვაციურობის და კონკურენტულობის მხარდამჭერ ძირითად კონცეფციად სხვადასხვა სივრცით დონეზე (სუპრანაციონალური, ეროვნული და რეგიონული) (იხილეთ, მაგალითად Porter 2000; Asheim *et al.* 2006a; Borrás and Tsagdis 2008; OECD 2007). შესაბამისად, კლასტერები, მოსწავლე-რეგიონების და რეგიონული ინოვაციის სისტემის მსგავსად, წარმოადგენს ემპირიულ და თეორიულ ბაზას ახლადჩამოყალიბებული და ინოვაციებზე დაფუძნებული რეგიონული განვითარების პოლიტიკისთვის.

თუმცა, მარტინი და სანლი (Martin and Sunley 2003) კრიტიკულად არიან განწყობილები კლასტერების მიმართ კონცეფციასთან დაკავშირებული ბუნდოვანების და იდენტიფიცირებული პრობლემების გამო. უნდა ითქვას, რომ ხსენებული საკმაოდ წააგავს ეგრეთ წოდებულ “ბუნდოვან კონცეფციას”, რომელიც მარკუსენმა (Markusen 1999) დაამკვიდრა და რომელიც ხასიათდება კონცეპტუალური ბუნდოვანებით, მტკიცებულებების ნაკლოვანებით, სუსტად განვრდილი მეთოდოლოგიითა და განხორციელებასთან დაკავშირებული სიმწელებით. კლასტერის მნიშვნელოვანი კრიტიკა დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ ლიტერატურა ძირითადად ამახვილებს ყურადღებას კლასტერების ფუნქციებზე მაშინ, როდესაც ყურადღების მიღმა ტოვებს ევოლუციურ განვითარებას, ანუ იმ პროცესს, თუ როგორ ხდება კლასტერების ჩამოყალიბება, როგორ და რატომ სუსტდება ისინი და როგორ ხდება მათი გადანაცვლება ახალ სფეროებში (იხილეთ Brenner 2004; Lorenzen 2005; Staber 2009). კლასტერების აღმოცენებასთან დაკავშირებული კვლევებით (e.g. Klepper 2007; Fornahl *et al.* 2009) ირკვევა, რომ ის პროცესები, რომლებიც პასუხს აგებს კლასტერების ფუნქციონირებაზე, ვერ უძებნის ახსნას, თუ რატომ ყალიბდება ისინი. გარდა ამისა, დასუსტებული კლასტერების მაგალითები (Hassink 2009; Hassink and Shin 2005) ცხადყოფს, რომ მათი დინამიკურობიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი სულაც არ არის მუდმივი. უფრო მეტიც, კლასტერების შესუსტება, როგორც ჩანს, გამოწვეულია იმ ფაქტორებით, რომლებიც წარსულში უპირატესობად მიიჩნეოდა (Martin and Sunley 2006).


კრიტიკაზე რეაქციის შედეგად გაჩნდა ლიტერატურა კლასტერების სიცოცხლის ციკლის ირგვლივ, რომელიც მკაფიოდ უკავშირდება ისეთ ძირითად ევოლუციურ თემებს, როგორიცაა ინსტიტუციური დამოკიდებულება, ჩაკეტილობა და დამოკიდებულების წარმოქმნა (Menzel and Fornahl 2007; Press 2006). ამ ნაშრომებში ყურადღება გამახვილებულია კლასტერების სიცოცხლის ციკლის სხვადასხვა ეტაპებზე და რეკომენდაციას უწევს პოლიტიკას, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტულ ეტაპზე. ამ მიდგომით შესაძლებელია კლასტერის გააზრება ევოლუციური პერსპექტივიდან. კლასტერების სიცოცხლის ციკლი მოიცავს საწყის ეტაპებს - აღმოცენების, სიმწიფისა და დასუსტების ეტაპების ჩათვლით, თუმცა არა დეტერმინისტულად (სურათი 12.1, იხილეთ აგრეთვე Lorenzen 2005; Enright 2003). მენცელი და ფორნალი (Menzel and Fornahl 2007: 3) ყურადღებას ამახვილებენ ინდუსტრიულ და კლასტერულ სიცოცხლის ციკლს შორის არსებულ განსხვავებაზე და ამ განსხვავების შედეგებზე ადგილობრივი სპეციფიკაზე მორგებულ პოლიტიკაზე:

კლასტერული და არაკლასტერული კომპანიების შედარებისას ინდუსტრიული სიცოცხლის ციკლის პერიოდში დამატებით განსხვავებები გამოვლინდება: ციკლის საწყის ეტაპზე კლასტერული კომპანიები უფრო წარმატებულები არიან ვიდრე არაკლასტერული კომპანიები, მაგრამ მისი დასრულებისკენ სიტუაცია იცვლება. ეს ადასტურებს, რომ კლასტერის სიცოცხლის ციკლი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ინდუსტრიის სიცოცხლის ციკლის ადგილობრივი გამოვლინება და რომ მასზე გავლენას ახდენს ადგილობრივი სპეციფიკა.”

ასევე, მენცელი და ფორნალი (Menzel and Fornahl 2007: 35-36) აღწერენ სხვადასხვა ეტაპებსა და მათ გავლენას განვითარებაზე:

აღმოცენების ფაზაში კომპანიები იმდენად ჰეტეროგენურები არიან, რომ ვერ იყენებენ სინერგიას, მაშინ როდესაც შესუსტების ეტაპზე მეთისმეტად ახლოს დგანან იმისათვის, რომ ენდოგენურად შეინარჩუნონ

საკუთარი მრავალფეროვნება. კლასტერების აღმოცენების პროცესში მიზანი უნდა იყოს ხშირად თემატურად გაფანტული კომპანიების კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირება, რაც მნიშვნელოვანია კლასტერებში სინერჯიის გასაჩენად და ზრდის ეტაპზე გადასაცვანად. ზრდის ეტაპის შემდეგ საჭიროა კლასტერის გარკვეული ჰეტეროგენურობის შენარჩუნება შესუსტების თავიდან ასაცილებლად და ზრდის ახალი მიმართულებებისთვის გზის გასახსნელად. ამგვარი სტრატეგიების განხორციელების ზომები გულისხმობს, მაგალითად, იმ სტარტაპების სელექციურ მხარდაჭერას, რომლებიც ან იწვევს კლასტერის თემატური საზღვრების გაფართოებას, ან კონკრეტულ მიმართულებაზე ფოკუსირებას იმ ფაზიდან გამომდინარე, რაშიც იმყოფება კლასტერი”.



სურათი 12.1 კლასტერების ზომისა და კომპროგენურობის მიმართება სიცოცხლის ციკლის განმავლობაში. წყარო: მენჯელი და ფორნალი

კლასტერებმა შეიძლება გამოამყვანონ ზრდის ხანგრძლივადიანი ტენდენციები თუ ისინი შეძლებენ ცოდნის მრავალფეროვნების შენარჩუნებას (Saxenian 1994) და მიიღებენ სხვა ინდუსტრიებთან დაკავშირებული მრავალფეროვნებისგან სარგებელს. არსებობს იმის მაგალითებიც, თუ როგორ ახლდებიან კლასტერები და გადადიან ზრდის ახალ ფაზაში (Trippel and Tödtling 2008). შესაბამისად, კლასტერებს შესწევს უნარი დაიწყონ სიცოცხლის ახალი ციკლი სხვა ინდუსტრიებში გადანაცვლებით და დატოვონ სიმნიშვნის სტადიაში მყოფი ინდუსტრია თუ ისინი შეძლებენ განახლებას და ტრანსფორმაციას (Figure 12.1).

6. დასკვნა

ამ თავში მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ ბოლო პერიოდის ევოლუციურ პერსპექტივას ორი მიმართულებით შეაქვს წვლილი ადგილობრივ და რეგიონულ ინოვაციურ პოლიტიკაში. პირველ რიგში, მას შემოჰყავს ახალი თემები, რომლებიც რელევანტურია ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური განვითარების პოლიტიკისათვის, მაგალითად, ინსტიტუციური დამოკიდებულება, ჩაკეტილობა, დამოკიდებულების წარმოქმნა, დაკავშირებული მრავალფეროვნება და კოევივოლუცია. მეორეც, მას დადებითი გავლენა აქვს ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაზე, განსაკუთრებით კი რეგიონულ ინოვაციურ სისტემებზე, რადგან იგი განიხილავს რეგიონული ინოვაციური სისტემების ევოლუციურ განვითარებას დროის პერიოდის განმავლობაში და აგრეთვე კლასტერებზე, რადგან ამ კონცეფციას აფართოებს პოლიტიკისთვის რელევანტური სიცოცხლის ციკლის მიდგომით. თუმცა, საკვანძო საკითხები შეიძლება დავინახოთ ამ მიდგომის შეზღუდული ემპირიული გამოცდის პერსპექტივიდან, ხოლო პოლიტიკური ეკონომიკისა და ინსტიტუციური ლეგიტიმაციის დაკნინება როგორც ფირმის შიგნით, ასევე მის მიღმა ევოლუციური მიდგომიდან.

უფრო მეტიც, რადგან ადგილობრივი და რეგიონული განვითარების შესწავლაში ევოლუციური მიდგომა მხოლოდ და მხოლოდ ჩანასახოვან სტადიაზეა, ჯერ კიდევ შესაძლებელია “პოლიტიკის ფორმაციასა და ევოლუციასთან დაკავშირებული საკითხების ინკორპორირება “შავი ყუთის” პოლიტიკის პროცესების არსებული ტენდენციისა საპირინონედ”, ასევე, “პოლიტიკის განსაზღვრისა და პოლიტიკური აქტორების დინამიკისა და შეზღუდვების, აგრეთვე, პოლისიმიეკინგთან დაკავშირებული სირთულეების უკეთ გაგება მრავალდონიან, მულტიაქტორული მმართველობის პირობებში (Uyarra 2009).

ადგილობრივ და რეგიონული განვითარების პოლიტიკაზე ევოლუციური პერსპექტივის ძირითადი გავლენა გამოიხატება იმაში, რომ ისინი ვერ დაეფუძნება ერთ რომელიმე უნივერსალურ მოდელს ან საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებას. (Tödtling and Trippel 2005; Visser and Atzema 2008). ამის ნაცვლად, ეს პოლიტიკა უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს კონკრეტულ რეგიონულ ეკონომიკასა და ინოვაციების სისტემებთან დაკავშირებული კონტექსტის და პრობლემების გათვალისწინებით. თუმცა, არსებული რეგიონულ ინდუსტრიულ ბაზაზე გადაჭარბებულმა დაყრდნობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი ინსტიტუციური დამოკიდებულება და ჩაკეტილობა. შესაბამისად, “რეგიონალური პოლიტიკის პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ მას, ერთის მხრივ, ეფექტიანად და წარმატებით შეცვალოს ეკონომიკური აქტივობა ევოლუციური პოლიტიკის გატარებით, ხოლო მეორე მხრივ, იგი ძნელად ახერხებს და ხშირ შემთხვევაში აფერხებს კიდევ ხანგრძლივადიანი განვითარებისთვის მეტად საჭირო ახალ ეკონომიკურ აქტივობას” (Boschma and Frenken 2007: 16). ადგილობრივი და რეგიონული განვითარების ევოლუციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს როგორც დაკავშირებულ მრავალფეროვნებას იმისთვის, რომ “გააფართოვოს და მრავალფეროვანი გახადოს რეგიონული ეკონომიკური ბაზა”, და ამავე დროს, “განავითაროს რეგიონისთვის სპეციფიკური რესურსები და ექსტრა-რეგიონული კავშირები” (Boschma 2008: 328).



კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი
ოთარ ჩხეიძის #5 თბილისი 0177, საქართველო
(995 32) 2 20 67 74/75

www.ctc.org.ge

ctc@ctc.org.ge